



სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
გარგულება №5  
2017 წლის 2 მარტი  
ქ. სენაკი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის რეორგანიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „სენაკის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის №27 დადგენილების შესაბამისად,

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის რეორგანიზაციის გეგმა დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის).
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №243).

სენაკის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:

ჯუმბერი ლაშქარავა

## სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის რეორგანიზაციის გეგმა

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის რეორგანიზაციის მიზანია საკრებულოს აპარატის ფუნქციური ოპტიმიზაცია, რომელსაც შეიძლება თან ახლდეს სტრუქტურული ან/და ორგანიზაციული ცვლილებები, შტატების შემცირებით ან/და გადაადგილებით.

2. რეორგანიზაცია შეეხება სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს - განყოფილებებს:

ა) საორგანიზაციო განყოფილება;

ბ) იურიდიული განყოფილება;

გ) საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება.

3. საკრებულოს აპარატის რეორგანიზაცია დასრულდეს სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლიდან 2 თვის ვადაში.

4. რეორგანიზაციის განმავლობაში სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა მუშაობა განაგრძოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების შესაბამისად.

5. რეორგანიზაციის პროცესში გატარებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) მომზადდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების პროექტი არაუგვიანეს 2017 წლის 15 მარტამდე;

ბ) მომზადდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის თაობაზე განკარგულების პროექტი 2017 წლის 15 მარტამდე;

გ) გამოიცეს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი რეორგანიზაციის შესახებ თანამშრომელთა გაფრთხილების თაობაზე;

დ) გამოძახებულ იქნეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მომუშავე შვებულებაში მყოფი თანამშრომლები და განხორციელდეს მათი ინფორმირება მოსალოდნელი რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების შესახებ.

6. გეგმის შესრულებას კოორდინაცია გაუწიოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, რომელიც საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტებს.

7. გეგმის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაეკისროს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.